# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 8 10/01/2017

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის #50/72 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის #50/72 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

**მუხლი 2.** მოწონებული იქნეს და მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს სესხის შეცვლილი პირობების გათვალისწინებით სესხის აღების თაობაზე.

**მუხლი 3.** შეტანილი იქნეს ცვლილება განკარგულებით დამტკიცებული ხელშეკრულების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

სესხის თანხა 413.295 (ოთხასცამეტიათასორასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი;

სესხის ხანგრძლივობა 10 წელი;

საშეღავათო პერიოდი 2019 წლის 28 ოქტომბრამდე;

საპროცენტო განაკვეთი: ცვლადი - რეფინანსირების განაკვეთს+0,5%;

გაცემის საკომისიო - სესხის თანხის 1%;

აუთვისებელი სესხის ძირის (ვალდებულების საკომისიო - commitment fee) 0,5%.

სესხის ძირზე პროცენტის დარიცხვის ვადის ათვლა დაიწყება პირველი ტრანშის გაცე მის თარიღიდან.

გაცემის საკომისიოს გადახდა სრული ოდენობით იწარმოებს პირველი ტრანშის გაცემ იდან.

აუთვისებელი სესხის ძირის საკომისიოს დარიხცხვა დაიწყება საქართველოს ფინანს თა სამინისტროსა და ევროპის რეკონტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ხელშკრულების გაფორმების თარიღიდან.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე